



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 151

ქალაქი ქუთაისი 7 მარტი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 თებერვლის N01/4913 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 18.01.2018 წლის №12 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის დასკვნების საფუძველზე, 10329,0 (ათი ათას სამას ოცდაცხრა) ლარის ოდენობით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრადის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის
ფორმით, სარგებლობაში გასაცემი უძრავი ქონების ნუსხა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ.	წლიური საიჯარო ქირა	საჯარო რეესტრის ამონაწერი №	დასკვნის ნომერი
1.	საზოგადოებრივი საპირფარეშო	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №2	შენობა-ნაგებობა №1 – 35,06 კვ.მ. მიწა - 57,00 კვ.მ.	6936,0 ლარი	03.03.21.351	№012/12-5 დ.რ. 21.12.2018 წელი
2.	საზოგადოებრივი საპირფარეშო	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა	შენობა-ნაგებობა №1 – 32,35 კვ.მ. მიწა - 64,00 კვ.მ.	993,0 ლარი	03.01.21.284	№012/12-6 დ.რ. 21.12.2018 წელი
3.	საზოგადოებრივი საპირფარეშო	ქალაქი ქუთაისი, ჯავახიშვილის ქუჩა №34 ა-ს მიმდებარედ	შენობა-ნაგებობა №1 – 31,38 კვ.მ. მიწა - 127,00 კვ.მ.	1616,0 ლარი	03.01.22.125	№012/12-7 დ.რ. 21.12.2018 წელი
4.	საზოგადოებრივი საპირფარეშო	ქალაქი ქუთაისი, წითელი ხიდის სამხრეთ - აღმოსავლეთით	შენობა-ნაგებობა №1 (საპირფარეშო) მიწა - 161,00 კვ.მ.	784,0 ლარი	03.03.21.241	№012/12-8 დ.რ. 21.12.2018 წელი

სააუქციონო პირობა: აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში უზრუნველყოს ზემოთ მითითებულ ობიექტებში საზოგადოებრივი საპირფარეშოების ამოქმედება. სავალდებულოა მოეწყოს ცალ-ცალკე განყოფილებები ქალთა და მამაკაცთათვის, სადგომი საპირფარეშოს ფორმით. ობიექტები უნდა იყოს მუდმივ მზადყოფნაში, ჰიგიენური ნორმებისა და წესრიგის დაცვით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ირაკლი შენგელია